კვლევის კომპონენტი

დოქტორანტის კვლევითი კომპონენტი მოიცავს ქვეკომპონენტებს, რომლებსაც დოქტორანტი ასრულებს დისერტაციის დასრულებამდე.

კომპონენტები სრულდება დისერტაციის პრერეკვიზიტის სახით და მოიცავს შემდეგს:

კვლევითი კომპონენტი
კვლევის ნაწილი I *(კვლევის პროექტი, კვლევის გეგმა, ბიბლიოგრაფიული მონახაზი)*
კვლევის ნაწილი II *(ბიბლიოგრაფია და მეთოდოლოგიური მონახაზი)*
კვლევის ნაწილი III *(მასალების შეგროვება, სადისერტაციო კვლევის პროექტი)*
კვლევის ნაწილი IV *(მასალების შეგროვება, მონაცემთა ანალიზი, I თავი)*
კვლევის ნაწილი V *(სადისერტაციო ნაშრომის ტექსტზე მუშაობა, შედეგების გადამოწმება, სამეცნიერო/სასწავლო ნაშრომის/სტატიის მომზადება და გამოქვეყნება)*
კვლევის ნაწილი VI *(სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო ვერსია, საჯარო დაცვა)*

კვლევის ნაწილი I - ამ კომპონენტის შესრულებისთვის დოქტორანტი ასრულებს შემდეგ სამუშაოს: ა. კომისიის წინაშე წარადგენს <u>კვლევის გეგმას</u> (ზეპირი პრეზენტაციის სახით) და ბ. <u>პროსპექტუსს</u> (დაწერილი ნაშრომის სახით). კომპონენტი ჩათვლილად ითვლება თუ დოქტორანტის ნამუშევარს დადებითი შეფასება აქვს, როგორც კომისიისგან ისე მისი ხელმძღვანელისგან.

კვლევის ნაწილი II - ამ კომპონენტის შესრულებისთვის დოქტორანტი ხელმძღვანელს აბარებს ბიბლიოგრაფიულ ნაშრომს და მეთოდოლოგიურ მონახაზს (წერილობითი ნაშრომის სახით).

კვლევის ნაწილი III - ამ კომპონენტის შესრულებისთვის დოქტორანტი კომისიას და ხელმძღვანელს წარუდგენს ა. საკვლევ მასალაზე/ველზე მიმოხილვას

(პრეზენტაციის სახით); ბ. სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურას (წერილობით და ზეპირი პრეზენტაციით).

კვლევის ნაწილი IV - ამ კომპონენტის შესრულებისთვის დოქტორანტი კომისიას და ხელმძღვანელს წარუდგენს: ა. ანგარიშს მიმდინარე სამუშაოზე (ზეპირი პრეზენტაციით); ბ. ნაშრომის პირველ/ერთ თავს (წერილობით).

კვლევის ნაწილი V - ამ კომპონენტის შესრულებისთვის დოქტორანტი კომისიას და ხელმძღვანელს წარუდგენს: ა. ანგარიშს მიმდინარე სამუშაოზე (ზეპირი პრეზენტაცია); ბ. სადისერტაციო ნაშრომის საფუძველზე მომზადებულ სამეცნიერო სტატიას; გ. დისერტაციის პირველ ვერსიას ან ნაშრომის ნაწილს.

კვლევის ნაწილი VI - ამ კომპონენტის შესრულებისთვის დოქტორანტმა უნდა დაიცვას დისერტაცია სადოქტორო სკოლის და სადისერტაციო საბჭოს დებულების მიხედვით გაწერილი წესით.

დისერტაცია

სადოქტორო დისერტაციაში დოქტორანტს მოეთხოვება არჩეულ სფეროში დამატებითი ცოდნის შემქმნელი ორიგინალური კვლევის ჩატარება. დისერტაცია არის ფორმალური აკადემიური ნაშრომი და ასახავს დოქტორანტის მიერ შესწავლილი საკითხის საფუძვლიან გაგებას. დოქტორანტმა უნდა ჩამოაყალიბოს ჰიპოთეზა. გაარკვიოს, როგორ განსხვავდება მისი კვლევის პროექტი აქამდე ჩატარებული კვლევებისგან და რა პრაქტიკულ მნიშვნელობას ანიჭებს დოქტორანტი კვლევის შედეგებს.